

შპს სი-ტი პარკი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის
მომზადებულია IFRS და SME მიხედვით

შპს სი-ტი პარკი
(საიდენტიფიკაციო #204543770)
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
ნაღდი ფული სალაროში	ა1	1,457.70	1,300.01
ფული საბანკო ანგარიშებზე	ა1	54,903.14	646,115.73
მოკლევადიანი მოთხოვნები	ა2	1,614,253.85	1,645,488.46
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	ა3	107,671.41	82,966.46
წინასწარ გაწეული ხარჯები	ა4	85,531.87	81,730.89
დარიცხული მოთხოვნები	ა5	906.74	906.74
სხვა მიმდინარე აქტივები		18.64	18.64
სულ მიმდინარე აქტივები:		1,864,743.35	2,458,526.93
ძირითადი საშუალებები	ა6	723,687.14	883,414.21
არამატერიალური აქტივები	ა7	31,258.51	33,438.56
სულ გრძელვადიანი აქტივები:		754,945.65	916,852.77
სულ აქტივები:		<u>2,619,689.00</u>	<u>3,375,379.70</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები	ა8	(2,960,782.12)	(3,528,987.24)
საგადასახადო ვალდებულებები	ა9	245,759.44	370,789.97
დარიცხული ვალდებულებები	ა10	(10,537.20)	(10,537.20)
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		(2,725,559.88)	(3,168,734.47)
გადავადებული ვალდებულებები	ა11	59,954.86	59,954.86
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		59,954.86	59,954.86
სულ ვალდებულებები:		(2,665,605.02)	(3,108,779.61)
მოგება/ზარალი		45,916.02	(266,600.09)
სულ კაპიტალი:		45,916.02	(266,600.09)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		(2,619,689.00)	(3,375,379.70)

ბინიამინ ლაჰავი

დირექტორი

2019 წლის 6 აგვისტო

თბილისი, საქართველო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება/ზარალი

შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
საოპერაციო შემოსავლები ა12	(3,458,322.52)	(9,555,905.71)
შემოსავალი პარკირებიდან	(1,192,115.03)	(5,124,783.33)
შემოსავალი ევაკუაციიდან	(156,088.98)	(845,330.55)
შემოსავალი ჯარიმებიდან	(2,102,888.61)	(3,565,716.83)
თანმდევი შემოსავლები	(7,229.90)	(20,075.00)
საოპერაციო ხარჯები ა13	3,772,915.05	8,924,558.55
შრომის ანაზღაურება	1,647,233.86	2,906,527.17
საწვავის ხარჯი	87,303.95	211,646.38
კომუნიკაციის ხარჯები	37,972.97	57,706.18
საქონლის და მომსახურების ხარჯები	1,460,548.73	2,475,112.46
პარკირების საფასურის მთავრობის 60% პროცენტი	-	1,958,800.95
პარკირების ტრანზაქციის საკომისიო	1,676.00	2,742.00
მივლინების ხარჯი	68,627.08	76,598.35
სამეურნეო ხარჯები	15,365.18	78,808.82
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	200,528.35	508,731.55
ავტოტრანსპორტის მოვლა-შეკეთების ხარჯი	44,736.64	175,022.53
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,146.47	15,562.17
ცვეთა და ამორტიზაცია	175,424.62	229,204.40
სხვა საგადასახადო ხარჯი	84.75	683.94
სხვა საერთო ხარჯი	23,266.45	227,411.65
საოპერაციო მოგება	314,592.53	(631,347.16)
არასაოპერაციო შემოსავლები	(14,570.96)	(3,022.00)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(14,570.96)	(3,022.00)
არასაოპერაციო ხარჯები	3,741.20	105,079.38
დაბრუნებული პარკირების საფასური ხარჯი	1,701.00	4,844.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	410.20	6,701.67
უსაბუთო ხარჯი	1,630.00	93,533.71

შპს სი-ტი პარკი
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
 მომზადებულია IFRS და SME მიხედვით

არასაოპერაციო მოგება	(10,829.76)	102,057.38
ფინანსური შემოსავლები	(4,734.77)	(34,424.11)
საპროცენტო შემოსავლები	(4,734.77)	(34,424.11)
ფინანსური ხარჯები	13,488.11	32,530.18
ზარალი სავალუტო ნაშთების გადაფასებიდან	-	9,057.22
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	13,488.11	23,472.96
ფინანსური მოგება	8,753.34	(1,893.93)
მოგება დაბეგვრამდე	312,516.11	(531,183.71)
მოგების გადასახადი	=	(79,677.56)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	=	(451,506.15)

ბინიამინ ლაჰავი

დირექტორი

2019 წლის 6 აგვისტო

თბილისი, საქართველო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

შპს სი-ტი პარკი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
მომზადებულია IFRS და SME მიხედვით

	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	სულ
31/12/2017	<u>265,813.14</u>	<u>(532,413.23)</u>	<u>(266,600)</u>
	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი	<u>-</u>	<u>312,516</u>	<u>312,516</u>
	-	-	-
31/12/2018	<u>265,813</u>	<u>(219,897)</u>	<u>45,916</u>

ბინიამინ ლაჰავი

დირექტორი

2019 წლის 6 აგვისტო

თბილისი, საქართველო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულის მოძრაობის უწყისი

პერიოდი:	2018
ფული პერიოდის დასაწყისში	647,415.74
საოპერაციო საქმიანობიდან	(592,292.71)
ძირითადი საქმიანობა	4,104,513.19
ძირითადი საქმიანობის თანმდევი	6,452.10
სხვა შემოსავალი	1,449.96
ხელფასი	(1,399,905.74)
იჯარა	(143,765.61)
რეკლამა	(118,453.00)
დღგ	(248,580.00)
საშემოსავლო	(462,182.97)
მივლინება	(72,066.34)

მომწოდებლები	(2,192,768.44)
კომუნალური	(24,733.71)
კომუნიკაცია	(26,122.28)
ზიანის ანაზღაურება	(9,542.87)
სხვა	(6,587.00)
საინვესტიციო საქმიანობიდან	(18,374.18)
ოფისის აღჭურვილობა	(18,374.18)
საფინანსო საქმიანობიდან	19,611.99
საპროცენტო შემოსავალი	4,734.77
ბანკის საკომისიო	(4,802.82)
სადაზღვევოს მიერ თანხის ანაზღაურება	19,680.04
სულ ფულის მატება	(591,054.90)
ფული პერიოდის ბოლოს	56,360.84

ბინიამინ ლაჰავი

დირექტორი

2019 წლის 6 აგვისტო

თბილისი, საქართველო

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
 შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს "სი-თი პარკის" (შემდგომში კომპანია) სამეწარმეო რეესტრში ჩართვის თარიღია 26.11.2007 წელი, მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 204543770. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ქ.

თბილისის მთავრობასა და კომპანიას შორის 2007 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებს საფუძველზე ქ. თბილისის გზებზე ავტო სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მიზნით პარკირების სფეროს ექსკლუზიური მართვა.

შპს "სი-ტი პარკის" წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკით.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვა ორგანიზებულია კარგად, სინთეზური ანგარიშგებისათვის გამოყენებულია პროგრამა ორისი, რის საფუძველზეც წარმოებს ფინანსური ანგარიშგება. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირია მთავარი ბუღალტერი, ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს16-ის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა.

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების შეცირებით დაგროვილი ამორტიზაციითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

ცვეთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები

არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მომსახურების რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

მომსახურების გაწევა აღირიცხება ბასს18 მოთხოვნათა შესაბამისად. თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. პროცენტები, როიალტები და დივიდენდები აისახება ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად.

საკურსო სხვაობების აღიარება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

გაწეული მომსახურება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

სალაროს ოპერაციების აღრიცხვა.

მომხმარებლებთან ანგარიშსწორება უმეტესწილად ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით მაგრამ მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო-საკასო აპარატებით.

სალაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება.

სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით.

ბანკის ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

აღრიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი N19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდარტის მე-11 პუნქტის მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი.

იჯარის აღრიცხვა

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

კომპანია გადასახადების დაბეგვრის და მათი გადახდის კუთხით ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა. კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2018 და 2017 წლების განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება.

თუ ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს განხორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე.

4. შენიშვნები

ფული და ფულის ექვივალენტები

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1110 ფული სალაროში	1,300.01	184,596	184'596	1,457.7
ფული ეროვნულ ვალიუტაში რეზიდენტ				
1210 ბანკში	444,574.35	5,946,449.6	6,353,039.4	37,984.57
ფული უცხოურ ვალიუტაში რეზიდენტ	201,541.38	646,173.69	830,796.5	16,918.57
1220 ბანკში				
	647,415.74	6,777,219.3	7,368,431.9	56,360.84

მოკლევადიანი მოთხოვნები ა2

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1400 - მოკლევადიანი მოთხოვნები				
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,563,868.12	2,489,800.72	2,511,121.54	1,542,547.30
1411 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომს-დან (ძველი)	6,891.60	-	-	6,891.60
1412 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომს-დან (ახალი)	25,823.69	1,407,333.24	1,416,931.03	16,225.90
1415 საექვო მოთხოვნების კორექტირება	45.02	2,726.00	2,714.00	57.02
1430 მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	303.00	370,737.47	371,040.47	-
1450 მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	48,302.03	-	-	48,302.03
1480 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	255.00	9,204.00	9,229.00	230.00

1,645,488.46 4,279,801.43 4,311,036.04 1,614,253.85

სასაქონლო - მატერიალური მარაგები ა3

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1600 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი				
1610 საქონელი	1,607.44	2,094.58	-	3,702.02
1615 ბორბლის დამჭერი	33,841.55	-	-	33,841.55
1620 ნედლეული და მასალები	35,053.58	50,556.80	40,000.00	45,610.38
1621 სარემონტო მასალები	428.71	-	-	428.71
1645 საღებავი	8,514.87	15,525.43	-	24,040.30
1650 საწვავი	3,520.31	84,142.29	87,614.15	48.45
	82,966.46	152,319.10	127,614.15	107,671.41

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით

წინასწარ გაწეული ხარჯები ა4

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
1700 - წინასწარ გაწეული ხარჯები				
1720 წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	(8813.48)	88260.63	84459.65	(5,012.50)
1790 სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	(0.01)	-	-	(0.01)
1791 საჯარიმო ტერმინალების პროგრამა	90,544.38	-	-	90,544.38
	85,531.87	-	-	85,531.87

წინასწარ გაწეული ხარჯების ანგარიშზე, აღირიცხულია გადახდილი საიჯარო ქირა

დარიცხული მოთხოვნები ა5

1800 - დარიცხული მოთხოვნები	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
-----------------------------	---------	--------	---------	-------

1820 მისაღები პროცენტები

906.74 - - 906.74

906.74 - - 906.74

სესხი გაცემულია პაატა სირამეზე 2010 წელს

ძირითადი საშუალებები ა6-ა7

2100 - ძირითადი საშუალებები

საწყისი ნაშთი	მიღება	გასვლა	ცვეთა	საბოლოო ნაშთი
883414.21	13517.5	0	173244.57	723687.14

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯული არ არის შესაბამისად სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის

2500 - არამატერიალური აქტივები

საწყისი ნაშთი	მიღება	გასვლა	ცვეთა	საბოლოო ნაშთი
33,438.56	0	0	2,180.05	31,258.51

მიმდინარე ვალდებულებები ა8; ა9; ა10.

3100 - მოკლევადიანი ვალდებულებები	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
3110 მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	3,395,496.36	2,509,398.56	2,072,809.07	2,958,906.87
3130 გადასახდელი ხელფასები	132,234.48	1,748,421.29	1,616,186.81	-
3131 თანამშრომლების დაზღვევა	-	31,028.20	31,147.05	118.85
3135 ერთჯერადი მომსახურება (ფ/პ)	1,347.95	17,832.87	18,332.87	1,847.95
3170 ვალდებულებები მეკავშირე საწ-ების წინაშე	91.55	37.13	37.13	91.55
	3,529,170.34	4,306,718.05	3,738,512.93	2,960,965.22

3300 - საგადასახადო ვალდებულებები

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
3310 გადასახდელი მოგების გადასახადი	(606,670.87)	-	-	(606,670.87)
3311 მოგების გადასახადი	783,380.64	-	7.63	783,373.01
3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	223,377.27	212,092.09	380,002.91	55,466.45
3330 გადასახდელი დღგ	(2,244,353.98)	248,580.00	725,779.96	(2,721,553.94)
3340 გადახდილი დღგ	2,222,730.34	262,373.56	1,404.00	2,483,699.90
3342 საგ-ოს შედარების აქტისთვის დ.დ.გ. (დეკლ-აში ჩაუთვლელი)	4,672.76	4,647.05	5,948.62	3,371.19
3343 უკუდაბეგვრის ჩასათვლელი დღგ	(18,975.76)	103,261.97	94,584.46	(10,298.25)
3350 აქციზის გადასახადი	2.07	-	-	2.07
3355 იმპორტის გადასახადი	236.75	-	-	236.75
3360 გადახდილი აქციზი	0.02	-	-	0.02
3370 სოციალური გადასახადი	-	251,742.38	-	251,742.38
3380 ქონების გადასახადი	6,390.73	-	-	6,390.73
	370,789.97	1,082,697.05	1,207,727.58	245,759.44

3400 დარიცხული ვალდებულებები

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
3410 გადასახდელი პროცენტები	(10,536.42)	-	-	(10,536.42)
3420 გადასახდელი დივიდენდები	(0.78)	-	-	(0.78)
	(10,537.20)	-	-	(10,537.20)

გრძელვადიანი ვალდებულებები ა11**4200 - გადავადებული გადასახ. და სხვა გრძელვ.
ვალდებულებები**

	საწყისი	დებეტი	კრედიტი	ნაშთი
4210 გადავადებული მოგების გადასახადი	59,954.86	-	-	59,954.86
	59,954.86	-	-	59,954.86

საოპერაციო შემოსავლები ა12

	31/12/2018	31/12/2017
საოპერაციო შემოსავლები	(3,458,322.52)	(9,555,905.71)
შემოსავალი პარკირებიდან	(1,192,115.03)	(5,124,783.33)
შემოსავალი ევაკუაციიდან	(156,088.98)	(845,330.55)
შემოსავალი ჯარიმებიდან	(2,102,888.61)	(3,565,716.83)
თანმდევი შემოსავლები	(7,229.90)	(20,075.00)
არასაოპერაციო შემოსავლები	(14,570.96)	(3,022.00)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(14,570.96)	(3,022.00)

საწარმოს ძირითადი შემოსავალი არის პარკირების სფეროს მართვის შედეგად მიღებული თანხები, ასევე საწარმო იღებს მცირე ოდენობით დამატებით შემოსავლებსაც რომელსაც ძირითადი შემოსავლების თანმდევი ხასიათი აქვს.

ხარჯები ა13

	31/12/2018	31/12/2018
საოპერაციო ხარჯები	3,772,915.05	8,924,558.55
შრომის ანაზღაურება	1,616,086.81	2,837,347.17
თანამშრომლების ჯანმ-ის დაზღვევა	31,147.05	69,180.00
საწვავის ხარჯი	87,303.95	211,646.38
კომუნიკაციის ხარჯები	37,972.97	57,706.18
რეკლამის ხარჯები	100,758.89	11,825.84
ერთჯერადი მომსახურების ანაზღაურება	5,580.09	6,487.50
ბანკის საკომისიო	5,324.68	11,837.89
პარკირების საფასურის მთავრობის 60% პროცენტი	-	1,958,800.95
პარკირების ტრანზაქციის საკომისიო	1,676.00	2,742.00
სამუშაო სპეცტანსაცმლის ხარჯი	1,953.39	20,222.56
საიჯარო ქირა	185,996.91	352,918.77
კომუნალური	19,467.22	16,604.79
საკანცელარიო	11,287.49	16,150.25
მივლინების ხარჯი	68,627.08	76,598.35
თანამშრომლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ხარჯი	-	1,120.00
ტერმინალის ხარჯები	1,759.52	9,520.94
ფოსტის ხარჯი	346,535.59	969,376.02
დაზღვევა	22,359.02	50,046.55
სამეურნეო ხარჯები	7,048.28	10,238.90
საგზაო ნიშნების ხარჯი	18.64	148.29
გზის მარკირების ხარჯი	-	44,713.55
კომპიუტერული ტექნიკის ხარჯები	8,298.26	23,708.08

პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	200,528.35	508,731.55
ავტოტრანსპორტის მოვლა-შეკეთების ხარჯი	44,736.64	175,022.53
იურიდიული, საწარმოო და აუდიტორული მომსახურება	349,305.48	513,970.03
დაცვის მომს-ის ხარჯი	36,906.76	63,355.92
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,146.47	15,562.17
ცვეთა და ამორტიზაცია	175,424.62	229,204.40
სხვა საგადასახადო ხარჯი	84.75	683.94
სხვა საერთო ხარჯი	23,266.45	227,411.65
საკონსულტაციო ხარჯები	333,313.69	255,016.03
საჯარიმო ქვითარების ხარჯი	40,000.00	176,659.37

საწარმოს ხარჯები თავმოყრილია ამ ანგარიშებზე, ხარჯის ანგარიშები გამიჯნულადაა ერთმანეთისაგან ხარჯის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. შესაბამისად გვხვდება ხელფასის ხარჯის ბარათი, საიჯარო ქირის, კომუნალურის, მივლინების, მასალის ხარჯის, კომუნიკაციის და სხვა.

5. საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპი და არსებითი განუსაზღვრელობა

კომპანია იმყოფება შემოსავლების სამსახურთან საგადასახადო დავაში დავის საგანს წარმოადგენს საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული თანხების სისწორე.

კომპანიას ერიცხება მნიშვნელოვანი ვალდებულება მერიასთან, რომლის გადახდის ვადა 2019 წლამდეა გადავადებული და თანხობრივად აღემატება საწარმოს წლიურ მოგებას.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით საწარმოს შეუწყდა მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უფლება, კერძოდ, ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მიზნით პარკირების სფეროს ესკლუზიური მართვის უფლება. ამასთან დაკავშირებით, საწარმოს სარჩელი აქვს შეტანილი სასამართლოში და ასევე იმყოფება დავის რეჟიმში მერიასთან ზიანის ანაზღაურების კუთხით.

აღნიშნული გარემოებები წარმოადგენენ არსებითი განუსაზღვრელობებს, რაც მნიშვნელოვან ექვს ბაღებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

6. შემდგომი მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.